გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე (ქვემო ქართლის მაგალითზე)

გიორგი სანდოძე

ელ-ფოსტა: giorgi.sandodze824@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა უკავშირდება სამხედრო გეოგრაფიას, კერძოდ თუ რა გავლენა აქვს გეოგრაფიულ ფაქტორებს სამხედრო კავშირგაბმულობაზე. ამგვარი კუთხით სამხედრო გეოგრაფია დღემდე არ შესწავლილა, რაც ქვემო ქართლის მაგალითზე განხორციელდა. აღსანიშნავია ისიც,რომ ამ მიმართულებით დღემდე არაა განსაზღვრული გეოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობა სამხედრო საქმეში. სამხედრო კავშირგაბმულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სამხედრო ქვედანაყოფებისთვის სამხედრო ოპერაციების დროს, ის მნიშვნელობასთან ერთად ძალიან რთული საკითხიცაა, რადგან სამხედრო კავშირგაბმულობა მოითხოვს, როგორც არსებული კავშირგაბმულობის საშუალებების ცოდნას და მის გამოყენების სპეციფიკას ასევე გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზს. გეოგრაფიული ფაქტორების სწორი ანალიზი განაპირობებს ქვედანაყოფებს შორის კომუნიკაციის ხარისხს და დაკავშირების მანძილს. ნაშრომში განხილულია თეორიული ნაწილი, თეორიული დებულებები, გეოგრაფიული ფაქტორების შეფასება და დაკავშირება სამხედრო კავშირგაბმულობასთან და ბოლოს კვლევის შედეგები და პერსპექტივები. ჩატარებული თეორიული კვლევის და ჩატარებული პრაქტიკული კვლევის გარდა ასევე გამოყენებულია მრავალწლიანი სამხედრო ცხოვრების მანძილზე სამხედრო კავშირგაბმულობაზე დაკვირვება და გამოცდილება, როგორც საქართველოს ფარგლებში ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ.

თემის აქტუალობას უკავშირდება ნაშრომის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზნებიდან აღსანიშნავია:

- სამხედრო კავშირგაბმულობის გეოგრაფიული თავისებურებების განსაზღვრა;
- ქვემო ქართლში არსებული რელიეფის, ჰიდროგრაფიული ობიექტების, მცენარეული საფარის, კლიმატის და ამინდის, ურბანული განაშენიანების და საინჟინრო ინფრასტრუქტურის გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
- კვლევის მეთოდოლოგია უკავშირდება სამხედრო კავშირგაბმულობაზე.

ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზს, სადაც გამოყენებულ იქნა როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეთოდი.

კვლევის შედეგად პირველად განხორციელდება კვლევა, სადაც შეფასდება:

1. გეოლოგიური აგებულების და რელიეფის ფორმების გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
2. კლიმატის და ამინდის ტიპების გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
3. ჰიდროგრაფიულ ობიექტების გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
4. მცენარეული საფარის გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
5. ურბანული განაშენიანების გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
6. საინჟინრო ინფრასტრუქტურის გავლენა სამხედრო კავშირგაბმულობაზე;
7. ქვემო ქართლის სამ ზონად (კარგი, ცუდი და ძალიან ცუდი) დაყოფა კავშირგაბმულობის გავრცელების მიხედვით.